საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 1211/02-06
13/09/2019

1211-02-06-4-201909131313

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მალხაზ ბაკურაძის ქალაქ მონპელიეში (საფრანგეთის რესპუბლიკა) მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' და ,,პ" ქვეპუნქტების, "სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის №12/04 ერთობლივი ბრძანების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის მალხაზ ბაკურაძის 2019 წლის 12 სექტემბრის №19387/28 განცხადების (დეკანის, ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის და ინსტიტუტის დირექტორის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას თანხმობებით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მალხაზ ბაკურაძის განცხადება და მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 11 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე ქალაქ მონპელიეში (საფრანგეთის რესპუბლიკა), მონპელიეს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტში პროექტის (CNRS PICS) ფარგლებში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, მივლინების ხარჯების ანაზღაურების გარეშე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

2. დაევალოს მალხაზ ბაკურაძეს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
3. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი).
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი